ისმინეთ და დაემორჩილეთ, რადგან ისინი (მმართველები) აგებენ პასუხს მათზე დაკისრებულზე, ხოლო თქვენ — თქვენზე დაკისრებულზე

ვაილ ალ-ჰადრამისგან გადმოცემულია, რომ სალამა იბნ იაზიდ ალ-ჯუ'ფიმ (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) ჰკითხა ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და თქვა: „ო, ალლაჰის მოციქულო, მითხარი, რას გვიბრძანებ, თუ ჩვენზე გაბატონდებიან მმართველები, რომლებიც ჩვენგან მოითხოვენ იმას, რაც მათ ეკუთვნით, მაგრამ უარს ამბობენ ჩვენს უფლებებზე?“ — მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მას ზურგი უქცია. შემდეგ მან იგივე კითხვა მეორედ (ან: მესამედ) დასვა, და მაშინ ალ-აშ’ას იბნ ყაისმა იგი თავისკენ გამოსწია, და თქვა(მოციქულმა ალლაჰმა დალოცოს იგი): «ისმინეთ და დაემორჩილეთ, რადგან ისინი (მმართველები) აგებენ პასუხს მათზე დაკისრებულზე, ხოლო თქვენ — თქვენზე დაკისრებულზე».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს მმართველებზე, რომლებიც ხალხისგან მოითხოვენ საკუთარი ვალდებულებების შესრულებას — მორჩილებასა და დაქვემდებარებას, მაგრამ თვითონ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს: არ იცავენ სამართლიანობას, არ ანაწილებენ ომის ნადავლს სამართლიანად, არ უბრუნებენ (დაჩაგრულებს) თავიანთ უფლებებს და არ უზრუნველყოფენ თანასწორობას. „რას გვიბრძანებ, როგორ მოვიქცეთ მათთან მიმართებაში?“ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას ზურგი უქცია, თითქოს არ მოეწონა ასეთი კითხვები. თუმცა, იმ ადამიანმა ისევ დაუსვა იგივე კითხვა მეორედ და მესამედ. მაშინ ალ-აშ’ას იბნ ყაისმა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) მოსაუბრე ადამიანს ხელი მოკიდა რომ შეეჩერებინა იგი. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: ისმინეთ მათი სიტყვები და დაემორჩილეთ მათ ბრძანებებს, რადგან მათზეა მათი პასუხისმგებლობა — სამართლიანობის დაცვა და ხალხისთვის მათი უფლებების მიცემა, ხოლო თქვენზეა თქვენი ვალდებულება — მორჩილება, თქვენი მოვალეობების შესრულება და განსაცდელების მოთმენა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5037